საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის დებულების (დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 28 მარტის N2 ოქმით) ცვლილება:

1. დებულების **მე-3 მუხლი** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრს მართავს ცენტრის ხელმძღვანელი.

2. ცენტრის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათვისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3. ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

4. ცენტრის ხელმძღვანელს ჰყავს მოადგილე.

5. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ცენტრისათვის გათვალისწინებული თანამდებობების დასახელებებია ცენტრის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია), უფროსი სპეციალისტი, მასწავლებელი.

6. ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილესა და თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით.

7. ცენტრის ხელმძღვანელის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე ცენტრის ხელმძღვანელის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე".

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 14869/10 03/08/2021

სსიპ – ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისის
სახელმწიფოუნივერსიტეტისწარმომადგენლობითი
საბჭოსსპიკერს, ბატონვლადიმერმარგველაშვილს

ბატონოვლადიმერ,

საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2013წლის11 სექტემბრისN135/ნბრძანებითდამტკიცებულისაჯარო სამართლისიურიდიულიპირის- ,,ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტის'' წესდებისმე-11მუხლისპირველიპუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტისთანახმად, დასამტკიცებლადწარმოგიდგენთსსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრისდებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს.

ცვლილებები განპირობებულია დებულების მოქმედ ვერსიაში ტექნიკური ხარვეზების არსებობით და დეპარტამენტის ზოგიერთ თანამდებობათა დასახელებების ცვლილებით, რაც იწვევს დებულების შესაბამისი ნორმების შეცვლის საჭიროებას.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების (წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 4 აპრილის N3 ოქმით დამტკიცებული) ცვლილება:

1. დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ც" ქვეპუნქტი:

   ,,ც) აღმოსავლეთმცოდნეობის სამკითხველო დარბაზი".

2. დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,4. ბიბლიოთეკისათვის უნივერისტეტის საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობებია: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე, განყოფილების გამგე (I კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი - I კატეგორიის მთავარი სპეციალისტი), უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკის გამგე (II კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი - II კატეგორიის მთავარი სპეციალისტი), სამკითხველო დარბაზის გამგე (წამყვანი ბიბლიოთეკარი - წამყვანი სპეციალისტი) , უფროსი ბიბლიოთეკარი (უფროსი სპეციალისტი), წამყვანი ბიბლიოთეკარი-(წამყვანი სპეციალისტი), რესტავრატორი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი. ბიბლიოთეკის საქმიანობის სპეციფიკისა და საჭიროების გათვალისწინებით შესაძლებელია შტატგარეშე პოზიციაზე მოწვეულ იქნას უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკის გამგე (II კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი - II კატეგორიის მთავარი სპეციალისტი), უფროსი ბიბლიოთეკარი (უფროსი სპეციალისტი),

ბიბლიოთეკარი (სპეციალისტი), რესტავრატორი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი, ექსპერტი-კონსულტანტი და მკვლევარი".

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 13186/10 15/07/2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსს

ბატონ გიორგი ჩაკვეტაძეს

ბატონო გიორგი,

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საშტატო განრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ ბიბლიოთეკის დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტს (დანართის სახით თან ახლავს). შეთანხმებულია თსუ იურიდიულ, საფინანსო და პერსონალის მართვის დეპარტამენტებთან.

გთხოვთ, მისცეთ მსვლელობა.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail